სარჩევი

რა არის ახალი 2

საშემოსავლო დეკლარაციის დანართი „ე“ 2

ზოგადი აღწერა 2

მომსახურების სახე (განაცემის მიმღების მიერ გაწეული მომსახურების შინაარსი) 3

გაცემული სესხების დაბეგვრა მოგების გადასახადით 5

გასწორებული შეცდომები 5

სხვა მოდიფიკაციები 6

ბალანსის რელიზი_1.3.6.4

20.02.2024

რა არის ახალი

საშემოსავლო დეკლარაციის დანართი „ე“

ზოგადი აღწერა

2024 წლის იანვრიდან ამოქმედდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში განხორციელებული ცვლილება , რომლითაც გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციას დაემატა დანართი „ე“ (ინფორმაცია საანგარიშო თვეში ფიზიკურ პირზე განხორციელებული განაცემების შესახებ, რომელიც უკავშირდება მომსახურების ანაზღაურებას და არ იბეგრება გადახდის წყაროსთან).

ცვლილების მიხედვით, დეკლარაციის დანართ „ე“-ში 2024 წლის იანვრის თვის საანგარიშო პერიოდიდან პირი ვალდებულია, ასახოს ფიზიკური პირისგან მიღებული მომსახურებისთვის ფულადი ფორმით განხორციელებული ანაზღაურება (რომელიც არ ექვემდებარება დაბეგვრას გადახდის წყაროსთან), მისი ფაქტობრივად გაცემის საანგარიშო თვის მიხედვით, სვეტების დასახელებების (შინაარსის) შესაბამისად.

დეკლარაციაში შეტანილი ცვლილებები იქნა გათვალისწინებული და ბალანსს დაემატა ახალი ანგარიშგება: საშემოსავლო დეკლარაციის დანართი „ე“ - ინფორმაცია საანგარიშო თვეში ფიზიკურ პირებზე განხორციელებული განაცემების შესახებ,რომელიც უკავშირდება მომსახურების ანაზღაურებას და არ იბეგრება გადახდის წყაროსთან. მომხმარებლებს საშუალება აქვთ ამოტვირთონ ანგარიშგება პორტალზე მარტივად შესატვირთვად.

განაცემის მიმღების საიდენტიფიკაციო/ პირადი ნომერი	განაცემის მიმღების სახელი	განაცემის მიმღების გვარი	მისამართი	პირის რეზიდენტობა (ქვეყანა)	მომსახურების სახე	განაცემი
01001000001	სახელი	გვარი1	იურიდიული მისამართი	268	1	1,000
01001000002	სახელი	გვარი2	იურიდიული მისამართი	268	1	100
01001000002	სახელი	გვარი2	იურიდიული მისამართი	268	3	100
01001000002	სახელი	გვარი2	იურიდიული მისამართი	268	8	1,000
01001000003	სახელი	გვარი3	იურიდიული მისამართი	268	1	500
01001000003	სახელი	გვარი3	იურიდიული მისამართი	268	3	1,000
01001000004	სახელი	გვარი4	იურიდიული მისამართი	268	1	1,000
01001000004	სახელი	გვარი4	იურიდიული მისამართი	268	2	1,000
01001000004	სახელი	გვარი4	იურიდიული მისამართი	268	7	1,000
01001000005	სახელი	გვარი5	იურიდიული მისამართი	268	6	1,000
01001000006	სახელი	გვარი6	ფაქტიური მისამართი	268	5	1,000
01001000007	სახელი	გვარი7	ფაქტიური მისამართი	268	7	1,000
სულ						9,700

მომსახურების სახე (განაცემის მიმღების მიერ გაწეული მომსახურების შინაარსი)

იმისათვის რომ ანგარიშგებაში გამოვიდეს შესაბამისი ინფორმაცია სასურველია შესაბამის ფულის გასვლის დოკუმენტში მითითებული იყოს მომსახურების სახე განაცემის შინაარსის შესაბამისად. ამისათვის ბალანსში შეტანილი იქნა შემდეგი ცვლილებები:

- დაემატა მომსახურების სახეების ჩამონათვალი, რომელიც განსაზღვრავს განაცემის მიმღების მიერ გაწეული მომსახურების შინაარსს



- დაემატა ახალი დაგროვების რეგისტრი "ცნობები ფიზ. პირებზე განაცემების შესახებ"
- მომსახურების სახის ველი დაემატა მომწოდებლების ცნობარსა და მომწოდებლების ხელშეკრულებების ცნობარს. (მომსახურების ველი ჩანს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მომწოდებლის სამართლებრივი ფორმა არის ფიზიკური პირი რომლის გადამხდელის სტატუსიც არის მცირე ბიზნესი, ინდივიდუალური მეწარმე და არარეზიდენტი ფიზიკური პირი)



- მომსახურების სახის ველი დაემატა ასევე ფულის გასვლა ბანკიდან და სალაროს გასავლის ორდერის დოკუმენტებში





გაცემული სესხების დაბეგვრა მოგების გადასახადით

დაბრუნებადი გადასახადების დამუშავებაში, გაცემული სესხების დაბეგვრის ჩანართზე დაემატა გაცემული მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხის კლასის ანგარიშების არჩევის შესაძლებლობა.

აღნიშნული კლასის ანგარიშების შერჩევის შემდეგ, შევსება ურთიერთანგარიშწორების ღილაკით შევსებისას ცხრილში გამოდის გაცემული სესხის ხელშეკრულებებზე გაცემული და დაბრუნებული სესხის ძირი თანხები.

იმისათვის რომ დამუშავებამ შეავსოს გაცემული სესხის ძირის თანხები სესხის ხელშეკრულების დებიტორი უნდა იყოს ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი:

- თანამშრომელი;
- მყიდველი, რომელსაც სამართლებრივ ფორმაში მითითებული აქვს ფიზიკური პირი და არ არის დღგ-ს გადამხდელი;
- მყიდველი რომელსაც ბარათზე გააქტიურებული აქვს ალამი შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული პირი ან გათავისუფლებული მოგების გადასახადისგან;



გასწორებული შეცდომები

- გასწორებულია გაყიდვების დამხმარეში წარმადობის ხარვეზი
- გასწორებულია რეალიზაციის გატარებისას შეკვეთის სტატუსის ცვლილების ხარვეზი
- გასწორებულია სერიული ნომენკლატურის დროს დამატებითი ხარჯების განაწილების გატარების ხარვეზი
- გასწორებულია დამუშავებებიდან ლოიალურობის ბარათის მონაცემების შევსების ხარვეზი
- გასწორებულია მყიდველების ექსელიდან ჩატვირთვის დროს სავაჭრო წარმომადგენლის შევსების ხარვეზი
- გასწორებულია შეზღუდული მომხმარებლის მიერ დეკლარაციის დანართი „ე“-ს გენერირების ხარვეზი
- გასწორებულია არარეზიდენტზე გაცემული ავანსის დღგ-ის გამოთვლის ხარვეზი

სხვა მოდიფიკაციები

- სერიული საქონლის აღრიცხვა მარდის აპლიკაციაში
- საქონლის გადაადგილების დოკუმენტების ასახვა მარდის აპლიკაციაში
- მარდის აპლიკაციიდან სასაქონლო ზედნადებების გამოწერა შერჩევით, მყიდველის მიხედვით
- სასაჩუქრე ბარათის მექანიკური ძიება საცალო ინტერფეისში
- წარმოების ზედნადების ხარჯების გატარების ოპტიმიზაცია
- დოკუმენტებით ანგარიშსწორება მარდიში
- ანგარიშვალდებული პირის მიერ შესყიდვის საშემოსავლო დეკლარაციის დანართი „ე“-ში გათვალისწინება
- მიღებული ზედნადებების დამუშავებაში ანალიტიკების შევსების შესაძლებლობა
- საანგარიშსწორებო დოკუმენტების მიბმის სიაზე ვალუტის კურსის გამოტანა
- დღგ-ის განაკვეთის თანრიგის გაზრდა
- თიბისი ბანკთან ინტეგრაციაში 700-ზე მეტი ჩანაწერის ინტეგრაციის შესაძლებლობა